ხელნაწერი: …(S-1418), XVII ს.

მინაწერები

1r

ფატმან ცოლი უსენისი გაეგება კართა წინა
მხიარულად უსალამა სიხარული დაიჩინა
ერთმანერთი მოიკითხეს შევიდეს და დასხდეს შინა
ფატმან ხათუნს მოსულა მისი შევითვატყე არ ეწყინა

3v

ფატმანისსა ვერ გიამბობ მოემატა რა სიამე
მიუწერა კმარის რაცა უშენომან ცრემლი ვლამე
აწ ვიქნები თავისწინა აქა მპოვებ მარტოსა მე
მამისწრაფე შეყრა შენი რა შეღამდეს მოდი ღამე

5v

ჴმა მათისა დაჴოცისა არ გაისმა არსით არა
წამოვიდა ვარდი ტკბილი რასამცა ვით გაემწარა
რომე წეღან წამოევლო გზა იგივე წაიარა
ესე მიკვირს სისხლი მისი ასრე ვითა მოიპარა

7r

ვთქუი თუ არცა რა მე ვიცი ამისი ჴორციელობა
რაცა არ გითხარ მის მეტი მაქუს არა მეცნიერობა
მე და შენ ვკითხოთ ვინ არის ვისგან სჭირს ისი ხელობა
ნუთუ რა გვითხრას ვიაჯნეთ ქნას დიდი ლმობიერობა

7v

დავსხედით და მის თანავე ვიტირეთ და ცრემლი ვლამეთ
რაცა გვეთქვა შევინანეთ სხვამცა რაღა შევიწამეთ
ძლივ ვიაჯეთ დადუმება დავადუმეთ დავაამეთ
ჩუენ მივართუით ხილი რამე მაგრა ვერა ვერ ვაჭამეთ

ღ˜თმან ქნას შინა მოვიდეს ძე ჩემი გამარჯვებული
მე დავახვედრო ისი მზე დამისთვის დამზადებული
მან ათქმევინოს ნუთუ რა ჩვენცა ვცნათ გაცხადებული
მუნამდის მთვარე შუქკრთომით ჯდეს მზისა მოშორვებული